ეს მართალი, წმიდათაწმიდა, პრინციპული და გაბედული ოპერაცია, ცხადია მეურნეობაც იგრძნო და მიწამაც... და განა მარტო მეურნემ და მიწამ? ასე რომ ყოფილიყო იმ რწმენის ფასი არ ექნებოდა. რესპუბლიკის ყველა პარტიულ ორგანიზაციას, მის აქტივს, ყველა ქალაქსა და სოფელს — მუშას, კოლმეურნეს, ინტელიგენციას, ყველა მშრომელ ადამიანს თავდადვე მხარი ორგანიზებულად რომ არ აებათ საქართველოში დაწყებული დიდი, საშვილიშვილო საქმისათვის, სულითა და გულით არ გაჰყოლოდნენ ალებულ სწორ გზას — ძველის, დრომოჭმულის, ყოველგვარი ნეგატიურის ამოძირკვა. სიმართლისათვის, სიწმინდისათვის, ხალხს კეთილდღეობისათვის, პატიოსანი მშრომელი ადამიანისათვის ზრუნვა არ დასებათ მთავარ ამოცანად, მაშინ არ იქნებოდა ასე მძლავრი, ასე საოცრად გულწრფელი და უხნაჯო დამოკიდებულება შრომისადმი, საერთო-სახალხო საქმისადმი მოსახლეობაში.

**ეს რწმენა ცხრა წელიწადია, თანდათანობით, დღითიდღე უალიბდებოდა, როგორც ავი აგურზე ისე ეწყობოდა ერთმანეთს და მერე ერთ მძლავრ ძალად შეიკრა და ჩადგა ლაბდა საშ

სახელოვან გამარჯვეგათა გზა

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისა და რესპუბლიკის კომუნისტური პარტიის შექმნის მე-60 წლისთავს მიეძღვნა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებული სამეცნიერო სესია, რომელიც საქართველოს დედაქალაქში გაიმართა 19 მაისს.

სესია შესავალი სიტყვით გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ოკუჯავამ. ბრძოლისა და გამარჯვებათა იმ სახელოვანი გზის შესახებ, რომელიც სამოცი წლის მანძილზე გაიარა საბჭოთა საქართველომ მომძლე რესპუბლიკების ერთიან მეგობრულ ოჯახში, თავის მოხსენებასა და გამოსვლებში ილაპარაკეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიის ისტორიის ინსტიტუტის დირექტორმა, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა დ. სტურუამ, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის დირექტორმა, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ა. გუნიამ და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ა. სურგულაძემ.

სესიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ ვ. სირაძემ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და სასწავლებლების განყოფილების გამგემ ე. სეხნიაშვილმა, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ. (საქინფორმი).

ჩვენი მიხაკო

ნარკვევი

გრიგოლ ჩიქოვანი

□□

ღილით მატარებლის ვაგონიდან რომ გადავედი და ქალაქის სადგურის უკან მოედანზე ხალხს შევერიე, ჩემი ყურადღება აფიშამ მიიქცია: „ალექსანდრე წუწუნავას სახელობის თეატრი. მიხეილ ორაგველიძე. „თავმჯდომარე“ — ეწერა იქ.

კოლმეურნეობის თავმჯდომარემ დაწერა პიესა კოლმეურნეობის თავმჯდომარეზე. არ გამკვირვებია. არ გამკვირვებია იმიტომ, რომ მიხეილ ორაგველიძე ერთი რომანისა და ნარკვევების რამდენიმე წიგნის ავტორია. წიგნები თარგმნილია რუსულად. განათლებით პედაგოგია. — ყოფილი სკოლის დირექტორი.

მიხეილ ორაგველიძესთან ჩავედი. მინდოდა, მიმელოცა შრომითი მოღვაწეობის 45 და დაბადების 70 წლის თავი. მას ხალხი სიყვარულით მიხაკოს ეძახის. ეს სიყვარული თავმჯდომარემ შრომითა და დიდი ადამიანური სითბოთი დაიმსახურა. ხალხი და მთავრობა მის შრომას დიდად აფასებენ. მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის წოდება, ხუთი ლენინის ორდენისა და მრავალი მედლის კავალერია. მრავალგზის იყო არჩეული საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, იყო ახალი საკოლმეურნეო წესდების მთავრობის შემდგენი კომისიის წევრი. არაერთი მოსაზრება წარედგინა კომისიას, რომელთა უმრავლესობა გაითვალისწინეს კიდეც წესდებაში.

უკანასკნელად 1977 წელს ვიყავი მიხაკოსთან სოფელ შრომაში, სერგო ორჯონიკიძის სახელობის „საპატიო ნიშნის“ ორდენოსან კოლმეურნეობაში. ახლა, გარდა საიუბილეო ზეიმში მონაწილეობისა და მილოცვისა, მინდოდა გამეგო, რა გაკეთდა ახალი მის კოლმეურნეობაში. პრესიდან ვიცოდი, რომ მისი თაოსნობით დანერგილმა „ოჯახის ხუთწლედმა“ დიდი წარმატებები მოუტანა შრომელებს; მინდოდა, ეს წარმატებები ჩემი თვალით მენახა, მათი ამბავი ჩემი ყურით მომესმინა.

აფიშის წაკითხვის შემდეგ გადავწყვიტე, ქალაქში დავრჩენილიყავი და სპექტაკლს დავსწრებოდი. მაგრამ დრო საშუალებას არ მაძლევდა. მახსოვდა, მიხაკოს დიდი ხნის წინათ ნათქვამი სიტყვები: — „კოლმეურნეობის თავმჯდომარეობა სკოლაში არ ისწავლება. მას ცხოვრებისაგან სწავლობენო“. თუ როგორ ისწავლა მიხაკომ ცხოვრებისაგან თავმჯდომარეობა, ეს მისი ათიული წლების მანძილზე თავმჯდომარედ ყოფნამ დაგვანახვა.

მაინტერესებდა, როგორ ასახა თავის პიესაში თავმჯდომარის სახე გამოცდილმა მშრომელმა კაცმა. ამ ინტერესმა მიხაკოს კიდევ ერთი გამონათქვამი გამახსენა — „კოლმეურნეობის თავმჯდომარის როლს მსახიობი ორი საათი რომ ასრულებს, სცენიდან დაღლილდაქანცული გამოდის“. მიხაკო ორაგველიძე ამდენი წელიწადია კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, მაგრამ დაღლა ჯერ არ დატყობია. მართალია, მაღალ შუბლზე

— ჩემმა ქმარმა, — მშვიდად, მაგრამ შინაგანი გაცხარებით უპასუხა თამარმა, — ჩემმა მოხუცებმა და ბავშვებმა. განა ნინო ჩემზე ნაკლებს მუშაობდა, ჩემზე ცუდად უვლიდა პლანტაციას, დროზე არ სხლავდა, დროზე არ შეჰქონდა, სასუქი, დროზე არ ბარავდა?!

— ვინა თქვა, რომ შენზე ნაკლებს მუშაობდა ნინო?!

— არავის უთქვამს, მაგრამ თქვენ ხომ იცით, რომ ნინო მარტო მუშაობდა პლანტაციაში.

— ნინოზე იყო მიმაგრებული პლანტაცია, — უთხრა თამარს ვეტერანმა მეჩაიე ქალმა, სოციალისტური შრომის გმირმა ელენე ხელაძემ, მიხვდა, რისი თქმა უნდოდა თამარს და წასაქეზებლად უთხრა, — ნინოს უნდა მოეწია იქ ფოთოლი.

— ჩემზეც იყო, ელენე, მომაგრებული პლანტაცია, ისეთივე სიდიდის, მე უნდა მომეწია იქ ფოთოლი. მე მეტი მოვიწიე, ნინომ ნაკლები. რატომ?! — ჰკითხა ყველას ერთად თამარმა და თვითონ გასცა თავის თავს პასუხი: — იმიტომ, რომ მე ერთი არ ვმუშაობდი, ერთი არ ვუვლიდი პლანტაციას. ჩემთან ერთად მეელი ჩემი ოჯახი უვლიდა პლანტაციას და კრეფდა ფოთოლს.

თავმჯდომარემ თავი ასწია. „ჩემთან ერთად მეელი ჩემი ოჯახი უვლიდა პლანტაციას და კრეფდა ფოთოლს“, — გაიმეორა მიხაკო ორაგველიძემ.

— მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, — განაგრძო თამარმა, — ბევრმა ხელმა ბევრი იმუშავა, ბევრი მოიწია, — მიუბრუნდა ნინოს, მის წინ რომ იჯდა პირველ რიგში და გაკვირვებული შეჰყურებდა: — შენ რომ პლანტაციას უვლიდი და ფოთოლს კრეფდი, შენს ქმარს ღვინით სავსე ჭიქა ეჭირა ხელში და ოდელას მღეროდა, შენი ბავშვები ბურთს თამაშობდნენ, შენი მოხუცები შინ ისხდნენ. რატომ?!

ნინომ ვერ უპასუხა, სახეწამოწითლებული, დაბნეული შესცქეროდა. თამარი კი განაგრძობდა:

— რატომ ვმუშაობთ მეჩაიე ქალები მამაკაცებზე მეტს?! გაგონილი გაქვთ ქალების ტკივილით ნათქვამი სიტყვები. ნეტა კაცად დავბადებულიყავიო. რატომ უნდა მიაჩნდეს მამაკაცს ჩაის ფოთლის ხელით კრეფა მხოლოდ ქალის საქმედ?!

— მართალს ამბობს თამარი, — წამოიძახა ადგილიდან და შეუერაცხყოფილი ადამიანის კილოთი განაგრძო მესამე სოციალისტური შრომის გმირმა ქენია კიზირიამ. არ გაგიკვირდეს, მკითხველო, რომ მხოლოდ სოციალისტური შრომის გმირები გამოთქვამენ უკმაყოფილებას. ისინი კოლმეურნეობაში თექვსმეტია და სწორედ ეს ქალები არიან სხვებზე მეტად განაწყენებულნი. ეს ქალები წელიწადში 8-9-10 ტონა ფოთოლს კრეფენ.

იმ წელიწადს კოლმეურნეობაში 1940 ტონა ფოთოლი მოკრიფეს. აქედან ქალებმა — 1865 ტონა, კაცებმა — მხოლოდ 75 ტონა. მთელი მოსავლის 4 პროცენტი.

ეს პატივმოყვარე მამაკაცები ქალებთან ერთად ისხდნენ დარბაზში. უხერხულად შეიშმუშნენ, დარცხვენით დახარეს თვალი, მაგრამ ქენია კიზირია არ მოერიდა, პირდაპირ ეუბნებოდა სიმართლეს.

— რატომ მიგაჩნიათ მამაკაცებს ჩაის ფოთლის ხელით კრეფა სირცხვილად, არა კაცის საქმედ, რით ლახავს ეს თქვენს ღირსებას?! რატომ თვლით მას მხოლოდ ქალის საქმედ?! ჩვენს ოჯახებს ჩაი და ციტრუსი აძლევს 5-8-10-15 ათას მანეთ წლიურ შემოსავალს. ამ თანხის სამი მეოთხედი ჩაის ფოთოლზე მოდის. ჩაის ფოთოლია ჩვენი შემოსავლის მთავარი წყარო.

— დროა ბოლო მოეღოს ამ სამარცხვინო ამბავს, — ახლა სოციალისტური შრომის გმირმა შურა კუპეხიძემ აიღო სიტყვა, — მარტო ჩვენს კოლმეურნეობაში რომ ხდებოდეს ეს, კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ ასეა სხვა კოლმეურნეობებშიც. დროა, ოჯახის ყველა წევრმა იმუშაოს, ვისაც კი შრომა შეუძლია.

„დროა, ოჯახის ყველა წევრმა იმუშაოს, ვისაც კი შრომა შეუძლია“, — განმეორდა მიხაკო ორაგველიძის გონებაში.

— მე ვარ კოლმეურნეობის ხელმძღვანელი. მაშასადამე, კარგად ვერ ვუძღვები საქმეს. წყალი სათავეში იმღვრევა, ამხანაგებო.

— ჩვენი ბრალია, მიხაკო, — უთხრა თავმჯდომარეს ტატიანა ჩხაიძემ, — ქალების — ცოლების, დედების, დების. თუ ჩვენ, ცოლები, ჩვენს ოჯახში ვუთმენდეთ ქმრებს, საზოგადო საქმეში არ უნდა მოვუთმინოთ.

ყველასათვის მოულოდნელად საზეიმო კრება კრიტიკის კრებად გადაიქცა, მაგრამ ყველა ქმაყოფილი იყო. ითქვა ის, რაც უნდა თქმულიყო.

კრება გვიან ღამით დამთავრდა.

მე და მიხაკო ორაგველიძე დარბაზიდან რომ გამოვედით, სოფელი ქალაქის ქუჩებივით იყო გაჩახჩახებული.

განათებული იყო უნივერმაღი, ქვით ნაგები კოლმეურნეობის გამგეობის უზარმაზარი შენობა, განათებული იყო სასურსათო მაღაზია. აქ კოლმეურნეობაში მოწეული მოსავალს ჰყიდიან. განათებული იყო სასადილო, აქ პლანტაციებში, ვენახებში, ბაღებსა და ყანებში მომუშავე კოლმეურნეებისათვის უფასო სადილს ამზადებენ და მერე ადგილზე მიაქვთ. განათებული იყო ამბულატორიის შენობის ფანჯრებიც.

— ყველაფერი ისეა თქვენს სოფელში, მიხაკო, როგორც ქალაქში, — დავარღვიე დუმილი.

თავმჯდომარემ თავი ასწია და შემომხედა.

— ოჯახში ვისაც მუშაობა შეუძლია, ყველამ უნდა იმუშაოს. მაშინ დიდად მოიმატებს ოჯახის შემოსავალი, სახელმწიფოს შემოსავალი, გაუმჯობესდება ხალხის კეთილდღეობა, — გაიმეორა მიხაკომ ნინოს სიტყვები, — კარგი იქნება ოჯახსაც რომ ჰქონდეს თავისი ხუთწლიანი გეგმა. მაშინ ყველა წევრი იმუშავებს.

— ოჯახის ხუთწლიანი გეგმა?! — შეეხეიდე თავმჯდომარეს.

— როგორც კოლმეურნეობას აქვს თავისი ხუთწლიანი გეგმა, — მიპასუხა მიხაკომ, — ისე საბჭოთა მეურნეობას აქვს, ფაბრიკა-ქარხანას აქვს, სახელმწიფოს აქვს. რას იტყვი, ძვირფასო? — მკითხა მიხაკომ და დავინახე, როგორ წადდა ჩემი დადებითი პასუხი.

— ოჯახის ხუთწლიანი გეგმა?!

— ჰო. სწორედ ოჯახის ხუთწლიანი გეგმა, — სახე გაუნათდა თავმჯდომარეს ჩემი გაკვირვებისა და მოწონების ღიმილი რომ დაინახა, — მაშ, შენც ასე გაიფიქრე?!

— მე კი არა, შენ გაიფიქრე ასე, მიხაკო.

— მე არა, თამარმა, ნინომ, ტატიანამ, ელენემ, გუგულომ, ჟენიამ, „მარიკამ გაიფიქრეს ასე და თქვეს. ოჯახის ხუთწლიანი გეგმა. დიახ, ოჯახის ხუთწლიანი გეგმა, — სამოცდაათი წლის კაცი ჩემ თვალწინ უცებ გაახალგაზრდავდა.

ასე დაიბადა იმ ღამეს ოჯახის ხუთწლედის იდეა. შემდეგ მას „ხუთწლედი ჩემს ოჯახში“ ეწოდა. მას შემდეგ სამმა წელიწადმა გაიარა...

და აი, კვლავ ჩემს ძველ მეგობართან ვარ, ისევ იმ დარბაზში, მაგრამ საზეიმო კი არა, საქმიან კრებაზე. თუმცა მას უფრო საზეიმო ეთქმის. ისევ ისეა გაჩახჩახებული დარბაზი, ისევ პირველ რიგში სხედან გმირი ქალები. განსაკუთრებით თამარსა და ნინოს უბრწყინავდათ სახე.

შრომელთა კოლმეურნეობამ მეათე ხუთწლედში ზედიზედ რამდენჯერმე მოიპოვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოს და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა.

ამ საპატიო ჯილდოს ზედიზედ მოპოვება ოჯახის ხუთწლიანმა გეგმამ განაპირობა. ახლა კოლმეურნეობაში დამუშავებულია არა მარტო რგოლებისა და ბრიგადების ხუთწლიანი გეგმები, არამედ ოჯახის ხუთწლიანი გეგმებიც.

— სოციალისტური შეჯიბრება იგივე დამკვრელური შრომაა, — მითხრა მიხაკო ორაგველიძემ, — იგი ადამიანში ავლენს ყოველივე კარგს — მის უანგარობას, მისწრაფებას, რაც შეიძლება მეტი სიკეთე მოუტანოს ხალხს, ქვეყანას. პლანტაციებში ჯერ კიდევ არა გვაქვს ყველა საჭირო ტექნიკა. მათ მაგივრობას ადამიანები სწევენ თავდადებული შრომით — სოციალისტური შეჯიბრებით.

შრომელები შარშან ოცდახუთი აგვისტოდან დადგნენ სკკპ XXVI ყრილობის აღსანიშნავ დამკვრელური შრომის და სანიმუშო ყოფის ვახტზე და 26 დამკვრელური კვირა ყრილობამდე მაღალი საწარმოო მაჩვენებლებითა და სანიმუშო ყოფით დაამთავრეს. „XXVI ყრილობას — 26 დამკვრელური კვირა“. ამ დევიზით მომუშავე შრომელებმა 26 კარგი საქმე დაადგეს.

ამ საქმეებსაც დიდად უწყობდა ხელს ოჯახური ხუთწლედი, ამიტომ არ შემეძლო მისთვის გვერდის ავლა.

— ყველა ადამიანი, სადაც უნდა მუშაობდეს იგი — კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, ქარხანაში თუ ფაბრიკაში, შახტში თუ მაღაროში, მშენებლობაზე თუ ტრანსპორტზე, სახელმწიფოს ხუთწლიან გეგმაში თავის პირად გეგმას ხედავს, — მითხრა მიხაკომ.

ქართველ კაცს, ყველა პატიოსან ადამიანს სინდის-ნაამესის გატეხას თავის გატეხა ურჩევნია. შრომელმა მამაკაცებმა მიატოვეს ოდელიას სიმღერა. ჭიქის ნაცვლად თოხს, ბარსა და სასხლავ მაკრატელს მოჰკიდეს ხელი, გვერდში ამოუდგნენ დედებს, დებსა და ცოლებს, თაკარა მზესა და წვიმაში ხელით კრეფენ ფოთოლს, ღამითაც კრეფენ ჭრაქის შუქზე, დაჩოქილებიც კრეფენ. მოხუცები აღარ სხედან შინ, ბავშვებიც იმდენ დროს აღარ კარგავენ თამაშში. რატომ? იმიტომ, რომ კოლმეურნეობის შემოსავალთან ერთად ოჯახის შემოსავალიც ორჯერ გაიზარდა, მისი წევრების ზნეობრივ-ეთიკური დონეც ამაღლდა.

ოჯახის ხუთწლიანმა გეგმამ არტელის შემოსავალი 6.000.000 მანეთამდე აიყვანა, რენტაბელობა 45 პროცენტით გაზარდა, სუფთა მოგება 1.800.000 მანეთით.

ყოველი საქმის წარმატება ადამიანზე, მის მონდომებაზე, ორგანიზებულობაზე, საქმის სიყვარულზე, მატერიალურ წახალისებაზეა დამოკიდებული.

ასეთმა ადამიანებმა მიაღწიეს ეგზომ დიდ წარმატებას, ასეთმა ადამიანებმა მოიწიეს ასეთი უხვი მოსავალი. ახლა შრომაში ოჯახის ყველა წევრი მონდომებულია, მობილიზებულია, ორგანიზებულია, დაინტერესებულია მეტი მოიწიოს, მეტი მისცეს სახელმწიფოს...

ლეონიდ ილიას ძე ბრეჟნევი ამბობდა: „საბჭოთა ადამიანების ცხოვრების დონე მათივე ხელშია. დღეს ჩვენ ისე ვცხოვრობთ, როგორც გუშინ ვმუშაობდით, ხვალ ისე ვიცხოვრებთ, როგორც დღეს ვმუშაობთ“.

დღეს ჩვენი ხალხი უკეთ მუშაობს. ხვალ უკეთ ვიცხოვრებთ.

თავმჯდომარეს ვკითხე, შენ თუ გაქვს ოჯახის ხუთწლიანი გეგმა-მეთქი. მაქვსო, მიპასუხა მიხაკომ.

— მერე რანაირად ახერხებ შენზე გაპიროვნებული ნაკვეთის დამუშავებას და კოლმეურნეობის ხელმძღვანელობასს?!

— აი, ასე, — ყმაწვილური, კეთილი ღიმილით შემომხედა მიხაკომ. — დილით მამლის პირველ ყივილზე ვდგები. გავიდებ მხარზე ხუთ თოხს და ყანაში გავეშურები.

— ხუთი თოხი რად გინდა ერთ კაცს?!

— მინდა — მეუბნება თავმჯდომარე და თან ეღიმება, — მივალ ყანაში, ოთხ თოხს ბუჩქებში დავმალავ, დავიკაპიწებ სახელოს და თოხნას შევუდგები.

— იმ თოხებს ვის უმალავ?!

— კეთილ ადამიანებს, ამვლელ-ჩამვლელს.

— არ მესმის.

— ჩაივლის ჩემი ყანის გვერდით სამუშაოდ მიმავალი აგრონომი. დილამშვიდობისაო, მეტყვის. ღმერთმა ბევრი დილა გაგითენოს-მეთქი, ვუპასუხებ. გამგეობაში არ მოდიხარო, მკითხავს. კი მოვდივარ, მარა ჯერ ეს სვე უნდა გამოვთოხნო-მეთქი, ვეტყვი. დაგაგვიანდება, მიხაკო, მეტყვის აგრონომი. რა ვქნა, ძამია, სვე რომ არ გამოვთოხნო, ყანა გამიფუჭდება. თოხი რომ გქონდეს, მიხაკო, მოგეხმარებოდი, მეტყვის აგრონომი. თუ მოხმარება გინდა, ბუჩქებშია თოხები, ვეტყვი მე. მივა აგრონომი ბუჩქებთან, აიღებს თოხს და მხარში ამომდგება. ცოტა ხნის შემდეგ გაკვირვებით მკითხავს: მიხაკო, ის სამი თოხი ვისთვის გაქვს დამალული?! შენისთანა კეთილი კაცისათვის, კოდევ. ჩაივლის ჩემი ყანის გვერდით ან ზოოტექნიკოსი, ან ეკონომისტი, ან ბუღალტერი, მექანიკოსი, უნივერმაღის დირექტორი, ექიმი, ინჟინერი,—ისევ კეთილი ღიმილით შემომხედავს მიხაკო, თვალებს ეშმაკურად ჭუტავს. — „ექსპლოატაციას“ ვუწევ ინტელიგენციას. ასე და ამგვარად ერთი დღის სამუშაოს ერთ საათში ვამთავრებთ ხუთი კაცი. ამას ძველად ნადს ეძახდნენ. ასე ვბარავ ჩაისა და ციტრუსის პლანტაციებს. ფიზიკური შრომა არავის აწყენს, ძამია...

შრომაში ისიც დიდად საყურადღებოა, რომ ოჯახის ხუთწლედმა წინათ ჩამორჩენილი მეცხოველეობა, რომელიც მილიონ მანეთ ზარალს აძლევდა წელიწადში კოლმეურნეობას, რენტაბელური გახდა.

1975 წელს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმზე თქვა, რომ საქართველოს შეუძლია გახდეს, უნდა გახდეს და უთუოდ გახდება მაღალგანვითარებული მეცხოველეობის რესპუბლიკა. ეს ფრიად პასუხსაგები მიზანი ერთსულოვნად აიტაცეს მეცხოველეებმა. მათ დიდი ნაბიჯი გადადგეს რესპუბლიკის დიდად განვითარებული მეცხოველეობის რეგიონად გადაქცევისათვის.

შრომელებმა პირველმა ირწმუნეს პლენუმზე ნათქვამი სიტყვა და გადაწყვიტეს, მეცხოველეობა ჩაისა და ციტრუსის წარმოების მაღალ დონეზე აეყვანათ.

საჭირო იყო ეყიდათ ჯიშიანი ძროხები და შეექმნათ საკვები ბაზა. დახმარებისათვის უკრაინელ ძმებს მიმართეს. ომის მძიმე წლებში შრომელები ხორბლითა და სხვა სურსათით ეხმარებოდნენ ევაკუირებულ როვნოელ მეცხოველეებს. ჰოსპიტლებიდან გამოწერილი უკრაინელი ჯარისკაცები და ოფიცრები შრომაში პოულობდნენ მეორე სამშობლოს. როვნოელებმა შრომელებს გასაჭირი რომ შეეტყვეს, არ დააყოვნეს — აუშენეს ფერმის კომპლექსი.

მიხაკომ წერილი აფრინა უკრაინის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანთან ამხ. შჩერბიცკისთან და პასუხმაც არ დააყოვნა.

„გისურვებთ თქვენ, პატივცემულო მიხეილ ფილიპეს ძეო, კომუნისტებს, ს. ორჯონიკიძის სახელობის ორდენოსანი კოლმეურნეობის მშრომელებს ახალ წარმატებას, სკკპ XXV ისტორიული ყრილობის მიხვდასახულებათა შესრულებას... თქვენი თხოვნით, ხერსონის ოლქი გაუწევს დახმარებას თქვენს არტელს, გამოგიგზავნით ძროხებს“.

ასე მოავრდება ამხ. შჩერბიცკის თბილი და მეგობრული წერილი.

უკრაინელებმა ველის წითელი ძროხები გამოუგზავნეს მეგობრებს. შრომელები, დარწმუნებულნი, რომ ამხ. შჩერბიცკი მათ თხოვნას შეეესრულება, წინასწარ შეუდგნენ საკვები ბაზის შესაქმნელად ზრუნვას იცოდნენ, რომ სოფლიდან არც ისე შორს, პალიასტომის ტბის გაღმა გადაჭიმულია ათი ათასი ჰექტარი ხელუხლებელი ეწერი, რომ იქ კედელივით აღმართულია ისლი და ხაია, მაგრამ პალიასტომის გზით იქიდან თევის გამოზიდვა შეუძლებელია. პალიასტომი ბობოქარი ტბაა. ისლისა და ხაიის გამოსაზიდად მდინარე სუფსამდე ჭაობზე რვა კილომეტრი სიგრძის არხი უნდა გაეყვანათ. არხი შემჭიდროებულ ვადაში გათხარეს. არხის ბოლოში ჩარმაგის ნაპირზე ისლისა და ხაიის საფქვავი ქარხნის მშენებლობას შეუდგნენ.

შრომაში დაკარგულია ზღვარი კოლმეურნის საკარმიდამოსა და მისთვის ხუთწლიანი გეგმით მიმაგრებულ საზოგადოებრივ ნაკვეთს შორის.

შრომაში აღარ არის ჩემი და სხვისი. კოლმეურნეობაში საკარმიდამოს კერძო სექტორს აღარ უწოდებენ. კოლმეურნე იმ ფასად აბარებს სახელმწიფოს მოწეულ მოსავალს—ჩაის ფოთოლს, ციტრუსს, ხორცს, რძეს, რა ფასადაც კოლმეურნეობა აბარებს

წაიშალა ზღვარი საზოგადოებრივ და კერძო სექტორს შორის. საკოლმეურნეო ცხოვრების ამ ორაგველიძისეულ სიახლეს მე სასწაულს ვუწოდებ. ეს მარტო ეკონომიკური კი არა, პოლიტიკური საკითხიც არის, რადგან იგი კერძოსა და საზოგადოებრივის ზღვარს შლის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თვისებრივად გამდიდრდა ადამიანი მორალურად და ზნეობრივად.

შრომელთა კოლმეურნეობა მიხაკოს თავმჯდომარედ არჩევამდე დაშლის კარამდე იყო მისული. ხალხი ტოვებდა სახლ-კარს და სხვა სოფლებში სახლდებოდა. სამას ოჯახამდე დავიდა ერთ დროს დიდი სოფელი. კოლმეურნეობამ შვიდ წელიწადში ათი თავმჯდომარე გამოიცვალა. მიხაკო მეთერთმეტე იყო. იმ წლიდან კოლმეურნეობის უკუღმა დატრიალებული საქმე წაღმა დატრიალდა. სოფლიდან წასულებმა უკან იწყეს დაბრუნება და აი, დღეს კოლმეურნეობაში 1300 ოჯახია. გადიდდა, შორს გაიშალა და ხელახლა აშენდა შრომა. აქ ვერ ნახავთ ერთსართულიან სახლს, ყველა ეზოში აგურის ორსართულიანი, ფართო ფანჯრებიანი სახლი დგას.

ზეშთაგონებული, მაღალსახარისხიანი შრომა, ეკონომიკის ინტენსიური განვითარების ლიანდაგზე გადაყვანა — ქვეყნის სიმდიდრის შემდგომი ზრდისა და ხალხის კეთილდღეობის დონის ამაღლების პირდაპირი და უტყუარი გზაა...

კრება დასასრულს უახლოვდებოდა. მე ცნობისმოყვარეობით შევხედე იმ მამაკაცებს, სამი წლის წინათ თამარის, ნინოს, გუგულის, შურას, ჟენიას, მარიკას სახეში შეხედვას რომ ვერ უბედავდნენ იმ ღირსშესანიშნავ კრებაზე და თვალდახრილნი ისხდნენ დარბაზში. ახლა ისინი თამამად უსწორებდნენ თვალს მეჩაიე ქალებს.

სოფელი შრომა.

მკრანი და დრო

მოსკოვში გაიხსნა სსრ კავშირის ეროვნული კინემატოგრაფისტთა IV ყრილობა

იცხოვროს ხალხის ინტერესებით, მართლაც და შთაგონებით შექმნას მისი მიღწევების კინოფიქცია, იყოს კომუნისტური მშენებლობის აქტიური მონაწილე — ეს მიაჩნიათ მრავალეროვნული საბჭოთა კინემატოგრაფიის ოსტატებს თავიანთი შემოქმედების აზრად და მოწოდებად. სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა IV ყრილობის დელეგატთა ყურადღების ცენტრშია ეკრანის მაღალი მისია განვითარებული სოციალიზმის საზოგადოების პირობებში. ყრილობა გაიხსნა 19 მაისს მოსკოვში, კრემლის დიდ სასახლეში.

გულთბილად შეხვდნენ ყრილობის დელეგატები და სტუმრები ამხანაგებს ვ. ვ. გრიშინს, ა. პ. კირილენკოს, კ. უ. ჩერნენკოს, პ. ნ. დემიჩევს, ბ. ნ. პონომარიოვს, ი. ვ. კაპიტონოვს, მ. ვ. ზიმიანინს, მათთან ერთად პრეზიდიუმში არიან ცნობილი კინემატოგრაფისტები, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები.

საპატიო პრეზიდიუმში აღფრთოვანებით ირჩევენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით.

მოხსენება „საბჭოთა კინოხელოვნების მდგომარეობა და ამოცანები სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად“ გააკეთა სსრ კავშირის კინემატოგრაფისტთა კავშირის გამგეობის პირველმა მდივანმა ლ. ა. კულიჯანოვმა.

„ეკვე ორ თვეზე მეტი დრო გავშორებს იმ დღეს, როცა აქ, კრემლში, მუშაობა დაამთავრა სკკპ XXVI ყრილობამ, თქვა მან. მაგრამ დღესაც საბჭოთა კომუნისტების უმაღლესი ფორუმის მძლავრი ხმა კვლავ გაისმის მსოფლიოში. ყრილობის მთელმა მუშაობამ, მკაფიო ახალი იდეებითა და დასკვნებით აღსავსე მოხსენებამ, რომელიც გააკეთა ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა, ჩვენი სამშობლოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების გრანდიოზულმა გეგმებმა, კიდევ ერთხელ დაადასტურეს რეალური სოციალიზმის ავანგარდული როლი ადამიანთა საზოგადოების ცხოვრების მაგისტრალური მიმართულებებით. ყრილობის მასალები და გადაწყვეტილებანი აღვიქვით, როგორც ცხოვრებისეული გამოცდილებისა და შთაგონების უშრეტი წყარო.

ბოლო წლების მანძილზე, თქვა შემდეგ მომხსენებელმა, უპირატესი მდგომარეობა კინორეპერტუარში დაიკავეს ფილმებმა, რომლებიც ასახავენ ქვეყნის დღევანდელობას, თანამედროვე ადამიანებს, მათ შრომას, ოცნებებსა და მისწრაფებებს.

ეს თემა დამახასიათებელია არა მარტო მხატვრული ფილმებისათვის. ამ თემაზე გაზრდილი ინტერესით მუშაობს ახლა დოკუმენტური კინოც, რომელიც ახალი ნიშნებითა და ფერებით ქმნის თანამედროვის ეკრანულ პორტრეტს. ჩვენმა დოკუმენტალისტებმა შექმნეს შესანიშნავი ფილმები ლ. ი. ბრეჟნევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის და მისი წიგნების „მცირე მიწის“, „აღორძინების“ და „ყაზარის“ გმირების შესახებ.

შემდეგ მომხსენებელი შეეხო საბავშვო და საყმაწვილო აუდიტორიისათვის გათვალისწინებული ფილმების შექმნის პრობლემებს. ჩვენ ჯერ კიდევ გვაკლია მაღალ დონეზე შესრულებული ასეთი ნამუშევრები. განსაკუთრებით იშვიათად გამოდის საბავშვო ფილმები, რომლებიც ბავშვებს უნდა აჩვენებდნენ შრომის პატივისცემასა და სიყვარულს, უნერგავდნენ მათ საშობლოს მაღალი იდეალებით ფრთაშესხმული პატრიოტებს სოციალურ და ზნეობრივ თვისებებს.

განსაკუთრებით დიდია ისტორიული ფილმების აღმზრდელობითი ზემოქმედება. გასულ ხუთწლედში გამოვიდა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი ვ. ი. ლენინის შესახებ, გრძელდებოდა ისტორიულ-რევოლუციური თემის მხატვრული დამუშავება. მაგრამ დიდი სოციალური მასშტაბის, მგზნებარე რევოლუციური აზრის ფილმები ჯერ არც ისე ბევრია, როგორც უნდა იყოს.

ორატორმა თქვა, რომ საბჭოთა კინემატოგრაფია შექმნეს და მსოფლიო დიდება მოუპოვეს შემოქმედებმა, რომლებიც გახდნენ რევოლუციონერები, და რევოლუციონერებმა, რომლებიც გახდნენ შემოქმედნი, და შეეხო შემოქმედებითი ცვლის აღზრდის პრობლემას. ამ დარგში საქმის ვითარების გაუკეთებელებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „შემოქმედ ახალგაზრდობასთან მუშაობის შესახებ“.

პარტიის XXVI ყრილობა გვამდიდრებს იდეებითა და გამოცდილებით, რომლებსაც ნამდვილად ფასდაუდებელი და ხანგრძლივი მნიშვნელობა აქვს, თქვა დასასრულ ლ. ა. კულიჯანოვმა.

ყოველი ჩვენგანისათვის დიდი პატივია უფრო სრულად გამოვიყენოთ კინემატოგრაფის შესაძლებლობანი, შრომა და შთაგონება, ყოველივე საუკეთესო, რაც ჩვენს სულშია, მოვახმაროთ საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარებას, კომუნიზმისათვის პარტიისა და ხალხის ბრძოლაში მისი როლის შემდგომ ამაღლებას. მაშ ვიცხოვროთ ისე, როგორც ჩვენს დროს შეეფერება. (საკდესი).

იდღესასწაულეთ, პიონერებო!

19 მაისს დილით პიონერული ბუკის ხმამ მოუყარა თავი ჩვენი სამშობლოს დედაქალაქში საზეიმო ხაზზე ყველა მოკავშირე რესპუბლიკის ნორჩ წარმოგზავნილთ. პიონერთა VIII სრულიად საკავშირო შეკრების დელეგატებმა ყვავილებით შეამკეს ვ. ი. ლენინის მავზოლეუმი და კრემლის გალავანთან დაკრძალული უცნობი ჯარისკაცის საფლავი.

ასე დაიწყო ბავშვებისათვის მათი ფორუმის მუშაობის მეორე დღე, რომელიც დაემთხვა ქვეყნის ნორჩ ლენინელთა ორგანიზაციის ღაბადების დღეს. მისი კულმინაცია გახდა მოსკოვის პიონერთა და დელეგატთა საზეიმო შეკრება „დინამოს“ ცენტრალურ სტადიონზე.

თითქოს გაახალგაზრდადგომ დედაქალაქის პატრიოტების პარკი, სადაც ქალაქის ერთ-ერთი უძველესი სპორტული ნაგებობაა. ხეივნებში სიმღერებით, დოლისცემით ჩაიარა 60 ათასზე მეტმა წითელყელსახვევიანმა ბოგონამ და ბიპუნამ, რომლებმაც გაიმარჯვეს მარშში „საბჭოთა ქვეყნის პიონერები ლენინის საქმის ვართ ერთგულები“. მათ ადგილი დაიკავეს ნაირფერი ალმებითა და ემბლემებით, პლაკატებითა და ლოზუნგებით მორთული სტადიონის ტრიბუნებზე.

ბავშვებს მიესალმნენ პარტიის, კომკავშირისა და პიონერიული მოძრაობის ვეტერანები, ხუთ

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ ᲘᲣᲑᲘᲚᲔᲡ ᲔᲒᲔᲑᲔᲑᲐ

ᲐᲡᲔ ᲕᲘᲖᲐᲠᲓᲔᲗ, ᲐᲡᲔ ᲐᲦᲕᲐᲚᲔᲑᲓᲘᲗ!

**ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲔᲚᲘ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲛᲔ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲜ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡᲨᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲮᲔᲚᲘᲡᲣᲤᲚᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ 60 ᲬᲚᲘᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲞᲐᲢᲘᲕᲡᲪᲔᲚᲐᲕᲓ ᲛᲘᲪᲔᲣᲚᲘ ᲠᲔᲠᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲘᲣᲛᲘᲡ ᲓᲔᲙᲠᲔᲢᲘᲗ ᲓᲐᲯᲘᲚᲓᲝᲣᲚᲘ ᲞᲘᲜᲔᲚᲘᲡ ᲛᲔᲠᲒᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖ